№ 71. 7 აპრილი, ხუთშაბათი. 1866—1883 7 აპრილი, ხუთშაბათი. № 71.

# დროება

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. ივ. მუხრანსკის სახლში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა

მიიღება ტფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთის წლისა . . . | 9 მან. | სამის თვისა . . . | 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . | 5 მან. | ერთი თვისა . . . | 1 მან. |

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე ერთი კაპეიკი, ასომთავრულით ასოზე ნახევარი კაპეიკი, ნაცვლად სტრიქონზე რვა კაპეიკი.

თუ ხაჭოროები მოითხოვს, რედაქცია ... და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

პირველის აპრილიდამ ამ 1883 წლის დამლევამდის

„დროება“

ღირს გაგზავნით 7 (შვიდი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. ქ. მუხრანსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში—ლევ. მჭედლიშვილთან, საკუთარს სახლში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ Въ редакцію „Дроэба“.

დღეს, ხუთშაბათს, 7 აპრილს, დაბაშვილის ქალაქის რჩევის დარბაზში, საღამოს 7 საათზე, შემდეგი

## კრება

ქართული სამეცნიერო ტერმინების შესამუშავებლად.

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი“)

### რუსეთიდამ

5 აპრილს

პეტერბურღი. წინამძღოლნი და სატიო აზნაურნი 6-მაისისათვის უნდა შეიკრიბნენ მოსკოვში გვირგვინის კურთხევაზედ დასასწრებად.

გვირგვინის კურთხევისათვის იქმნება გამზადილი 23 ოქროს ეკიპაჟი, 19 კარეტა და 4 ფაეტონი.

1 მაისისათვის შემუშავებულ იქმნება პროექტი კახანოვის კამისიისა; შემოდგომაზედ გამოითხოვენ ერობათა აზრებს.

დღეს გამოცხადდა განჩინება უკანასკნელის პოლიტიკურის პროცესისა: სამი დამნაშავე დაჰკარგეს კატორგაში მადნებზე სამუშაოდ სამუდამოდ, შვიდი—15 წლით, ოთხი—კატორგაში—ციხეში. 10 წლით, ოთხი—ქარხნებში სამუშაოდ 4 წ.; უკანასკნელნი რვანი ციმბირის განაკიდე ადგილებში; ერთი—უფლებათა კანდიდატი-პეპელნიკოვი გაამართლეს.

მოსკოვი. სასტუმროს მოსამსახურეთ, რომელნიც მოგზაურთ განუცხადებენ განგებ, რომ საქირაო ოთახები არ არისო, ღენერალ-ღუბერნატორის განკარგულებით გადახდებათ 25 მან. ჯარიმა, ან დატუსაღებულ იქმნებიან 1-ს თვით და შეიძლება ადგილიც ჩამოართვან.

ბრონიცკის საზოგადო ბანკს, გაზ. „მოსკოვის ფურცლის“ სიტყვით მოუსპია სესხის გაცემა, რადგან განფანტულა ამ ბანკის ფული 70,000 მან.

### საშღვარ-გარეთიდამ

5 აპრილს

ლონდონი. დღეს ინგლისის კაროლევა, ვიკტორია გაემგზავრა ოსბორნში; ყველა სტანციებზე რკინის გზისა დაყენებული იყვნენ პოლიციელები.

კარლეს საქმის გარჩევის დროს აღმოჩნდა, რომ კარლე აძლევდა დარიგებას იმ პირთ, რომელთაც მკვლელობა მოახდინეს ფენიქს-პარკში, რომ შერქმეულთა 22-ჯერ განუზრახავთ ფორსტერის მოკვლა.

## უცხოეთში

ტფილისი, 6 აპრილს.

ბოკლის შემდეგ ისტორიულ ლიტერატურაში ძალიან გავრცელდა ის აზრები, ვითომც კერძო პირი ისტორიაში არაფერს როლს არა თამაშობდეს, არაფერი მნიშვნელობა არა ჰქონდეს, თუმცა ნაპოლეონი, ალექსანდრე მაკედონელი და სხვა სულ წინაალმდეგს გვიმტკიცებენ. მართალია თავის დროზედ ცხოვრების კანონები და ისტორიის მსვლელობა თავისასა იქს, მაგრამ კერძო პირს შეუძლიან რამოდენიმე ხანი აიჩქაროს, ან სულ შეაფერხოს ისტორიის მსვლელობა არა მარტო თავის ხალხისა, არამედ მთელი ქვეყნის ბედის ჩარხი თავის სურვილზედ დაატრიალოს.

დღეს ამისთანა ძლიერი კაცი ევროპაში არის გერმანიის კანცლერი ბისმარკი. ბევრსა ჰინჰყლობენ საფრანგეთის მოთავე კაცები და მათთან ერთად სხვა სახელმწიფოების დიპლომატები, მაგრამ ბისმარკი შეურყევლად სდგას და იმის გზის გადალობვა ვერავინ შესძლო. ვინ მოიფიქრებდა, რომ იტალია, რომელიც ნემეცების სისხლსა სვამს, ავსტრიას და გერმანიას გაუწვდიდა მეგობრულ ხელს და მათთან კავშირს შეჰკრავდა, მაგრამ ეს დღეს ფაქტია, რომელიც იტალიის პირველმა მინისტრმა მანჩინიმ ჯერ სადეპუტატო პალატაში და მერე სენატში ეს კავშირი საქვეყნოდ და დიდ სიამოვნებით აღიარა. ეს კავშირი, რასაკვირველია, ბისმარკის წყალობით მოხდა და ამ შესანიშნავმა კაცმა ერთხელ კიდევ გაუცრუა საფრანგეთის პოლიტიკებს თავიანთი წადილები. დიპლომატები და პოლიტიკები თავისას აკეთებენ, მაგრამ იტალიელ ხალხის გულში ვერ გააქრობენ იმ ნემეცების სიძულვილს, რომელიც მას ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი. ბისმარკმა, მანჩინიმ და ანდრაშიმ რამდენიც უნდა ხელი ხვიონ ერთმანეთს და ესირინიზონ, მაინც იტალიის ხალხს ვერ გაუმრთელებენ ავსტრიელებისგან მათ გულის ჭრილობას ვერ დაავიწყებენ მაძინისა და გარიბალდის ანდერძს....

---

## „დროების“ ფელეტონი, 7 აპრილს.

### წინარეხი და სიღნაღი

მგზავრის შენიშვნები

„მოყვარეს პირში უძრახეო“....

რა არის წინამხარი? გულსაკლავი კითხვაა ეს, ჩემო ბატონო, რადგან ასეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც არის ჩვენი ქვეყანა არამც თუ მდებიარეობის არ ცოდნა ისეთის მშვენიერის კუნჭულისა, როგორიც არის წინამხარი—არამედ არ ცოდნა ეკონომიურის და ზნეობითის მისის მხრისა უაღრეს ცოდვას შეადგენს ყველასთვის. მაგრამ ვანებებ იერემიადებს თავს. რა გამოვა ყვედრებიდამ იმა ხალხისა, რომელსაც დაუდევრობა დამოკლის ხმალივით ყველას თავზე აქვს დამოკიდებული!...

გეტყვით პირ-და-პირ, რომ მორდილი სიღნაღის მაზრა განიყოფება სამ ნაწილად: სიღნაღს, ტფილისიდან მარჯვნივ, მდინარე ლაკბედან დაწყობილი მიზიყი უდევს, მარცხნივ ალაზანს დამცქერი ცივის მთების ძირში გაყოლებული წინა-მხარის სოფლები სოფ. ველისციხემდის და ცივის მთას იქით ივრისკენ მომზერლად მდებარეობს უკანა-მხარი სოფ. მანავამდე. მიზიყი და უკანა-მხარი არიან ნამდვილი გლეხთა სამკვიდრო ქვეყნები, თავისი ამ შემთხვევაში აუცილებელ სათემო მანდვრებით, ჯერ კიდევ ბევრგან უზარ-მაზარ გლეხურ ოჯახობით შემდგარ ას სულ ჯალაბობისგან, რომელთა მგლის თვალით მაგრამ მოკრთალებით შესცქერიან პირში ნერწყვ მოსული აწინდელ მსოფლიო სამკაულნი ხრო ყლაპიებები. მაგრამ წინა-მხარი კი, მშვენიერი, წინა-მხარი, მომეტებულ საბატონოა—იმიტომ სხვა ეკონომიური და მორალური მდგომარეობა აქვს...

აი, მე ვიმყოფები წინა-მხრის დიდი სოფელ მოდალოს არემარეში. აქ საკმაოდ დადაბლებულ ცივ გომბორის მთის ჯაჭვს თითქო ადგილი მიუცია, რომ ცივმა შუბლმა კავკასიონის ქედისამან ამაყად უმზიროს ფეოდალთ სავანეს—სავანეს არა ნაკლებ დაუდევარს და გულგრილს კაცის ტანჯვისადმი, სანამ ცივათ გამომზერნი უცნულის ხოჭიჭნი. ჩემ გარშემო ნანგრევებია უწინდელ დიდებისა, როგორც ყველგან ფეოდალთ სავანეში! ამ კოდალოს გარშემო შემოწყობილი საბატონო სოფლები გათქმული იყვნენ მთელ კახეთ-კუხეთში თავისი მოლხინე და მოჭიდავე ბიჭებით! სოფელი ზიარი და შხოველი პატარა ქალაქებად ითვლებოდნენ და რომელ ხელოსანს იტყოდით, რომ აქ არ ყოფილიყო—აქაური ვაჟკაცის სილამაზე გათქმული იყო ყველგან! ღვინო და ხილით სავსე იყო აქაურობა—დღეს ხელოსნის ხსენება არსად არის აქ—ბაღები საცოდავ სანახაობას წარმოადგენენ—ხილის ხსენება არ არის და ხალხიც გარბის ამ წყეულ სოფლებიდგან და ღმერთმა იცის საით! თვალს ვერ აარიდებ ნასახლარებს, გატიალებულ ვენახებს გლეხებისას და ვინც კი გადარჩენია ტრამლად უნდა ნახოთ იმათი საცოდავი წნული ჩაშავებული ქოხები—თითო ბეწო ბოსტნებით—უბადრუკ ვენახებით დალალული გლეხ-კაცობა — შეგზარავთ ყველა ეს და მიზეზის ჩხრეკას შეუდგებით. მიზეზები ძრიელ ბევრი წამოგეჩხირებათ თავში. ამიტომ არის ეს მოდალოს გარშემო სოფლები ესე აოხრებულნი—და ისე მქლეთ ცხოვრობს აქ სოფლის საზოგადოებანი.

დირიდან შორს არ არის თვით წინამხარიც. აი, გადავეშვი ს. ვეჯინის თავ-დაღმართს ჩრდილოეთის გვერდს მთისა მის ცივისას. დიდებულ სურათს წარმოადგენს აქედან მთელი წინამხრის არე-მარე თავისი ვაკე ალაზნის ველით, ჭიაურის ქალით და ჩრდილოეთით ცამდის ამართულ თეთრი კავკასიონის მთებით, რომლიდანაც ცივად გამოსჭვრიან ყინულის ჩანჩქერები ხევებში!

ეს მშვენიერი არე-მარე გეფიქრება, რომ უნდა იყოს საცხოვრებელი პოეტებისა, რომელთა პოეზიამ, ახალი კუნჭულები უნდა იპოვონ კაცთა ხელში; საცხოვრებელი ხელოსანთა უსულო მარმარილოს განმაცოცხლებელთა, რომელთ გამოკვეთილ ტუჩში უნდა ჩაჰბერიან თვისი შეუპოვარი და უკვდავი სული!.. ჰე, რას ვრომშამ არ მინახამ—არ ვიცი ვინ ცხოვრობს აქ?!—სცხოვრებენ წარსული მარსის შვილნი რომელთანაც მეც

ამ კავშირით მხოლოდ იმას მიაღწევენ, რომ მარტოდ დარჩენილმა საფრანგეთმა ჯერ გულში უნდა ჩაიმარხოს გერმანიის ჯარის ამოყრის განძრახვა და ხმელთა-შუა ზღვის ნაპირებზედ პარპაშობასაც უნდა უკლოს, რომელიც იტალიას არაფრად ეჭაშნიკებად.

## დღიური

გუშინ, 6 აპრილს, ფოთიდამ მომავალი მატარებელის ორი ვაგონი, გადავიდა რელსებიდამ. ერთი ვაგონი, როგორც გვატყობინებენ, გვარიანად დაზიანებულა და ამით გათავებულა ეს შემთხვევა, რომელსაც, შესაძლებელი იყო, ჰქონოდა საშინელი შედეგი. ეს ამბავი ყოფილა ძირულას სტანციის მახლობლად და მატარებელი მიმავალა ნელა, რასაც, რასაკვირველია, უნდა მიეწეროს, რომ მატარებელი არ დაილუპა სრულიად. ხალხი არ დაზიანებულა. ამ მიზეზის გამო მატარებელმა გუშინ დაიგვიანა ძლიერ, ასე რომ, 10 საათის მაგიერ, ტფილისში მომავალი ხალხი ნაშუადღევს 3 საათზე მოვიდა ძლივს. რა იყო ამ შემთხვევის მიზეზი,—ჯერ არავინ იცის ნამდვილად.

* * *

სოფ. ახაშნიდამ, სიღნაღის მაზრაა, გვწერენ დიდს მწუხარებას ბ. მაზრის უფროსის თანაშემწის თ. ლევან ჯანდიერის გადაყვანაზედ. ის თუ მოგვხედამდა ხოლმე ჩვენ მივარდნილ ალაგას მცხოვრებთ, თორემ სხვა ვინ გვათხოვებს ყურსო. ეხლა იმის წასვლით უნდა გაიხარონ ჩვენებურმა სოფლის მოხელეობამ.

* * *

ამ დღეებში ჩვენ დავტკბით, ერთ დიაღ პატივსაცემ ოჯახში, სხვათა შორის ბ. ქვიატკოვსკის ჩინებულის ახალის რომანსებით. ამ ჟამად ამ პატივსაცემ მომღერალს და დამკვრელს ოთხი თურმე ახალი თავისი რომანსები აქვსო. ორი ამათგანი უძღვნა ჩვენებურთ ორ ყმაწვილ ქალთ, რომელთ დანახვა მართლა და არა მომღერალსაც სიამოვნების ეშხით აამღერებს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ბატ. ქვიატკოვსკი, როგორც აქაური მიწის შვილი, როგორც რიგიანად მცოდნე მუზიკისა, მიაქცევს ყურადღებას ჩვენს სხვა-და-სხვა შვენიერ გარმონიურ ხმებსაც, როგორც ხოროდ ისე კიდე მარტოდ სამღერლებს, ეცდება შეაგროვოს ეს ხმები გადაიღოს ნოტებზე და მით ჩვენც ქართველებსაც დაგვავალებს—გააცნობს ჩვენს სიმღერებს ევროპიულ კომპოზიტორებს და თუ ოდესმე, ვინმე იმათგინს მოუნდათ ჩვენი ცხოვრებიდამ რისამე ოპერად გადაკეთება, როგორც მაგ. ბ. რუბენშტეინს, უფრო მეტს და ნამდვილს ჩვენებურს ხმებს ჩაურთვენ შიგ. ამ ნაირად ბ. ქვიატკოვსკი უფრო მეტს სახელს მოიხვეჭს და გვგონია ეს არც მატერიალურის მხრით იყოს ცუდი, რადგანაც ბევრი ჩვენებური ხმები იმდენად გარმონიულია და სასიამოვნო, რომ, თუ კი მართლა ნამდვილად ნოტებზე გარდაიღეს, ეჭვი არ არის იმათ შეძენის მდომელნი ბევრნი აღმოჩნდებიან.

* * *

გამოვიდა მესამე, მარტის წიგნი ჟურნალი „ივერიისა“ რომლის შინაარს შეიცავს. I ყანშუბეი, პოემა ყაჩაღების ცხოვრებიდამ—ა. გ. დადიანისა. II შრომა ევროპიელთ მსწავლულთა, განსაკუთრებით ბროსსესი ქართულის საისტორიო წყაროების გამოკვლევაში. დ. ბაქრაძისა. III გაზაფხულდა (ლექსი) თ. რაფ. ერისთავისა. IV წერილები ლორენცო ბენონისა (შემდეგი) თარგმანი ელ. მამულაშვილისა. V გაზაფხულის ქუხილი (ლექსი ტიუტჩევიდამ) თ. რაფ. ერისთავისა. VI შენიშვნები ისტორიასა და არხეოლოგიაზედ: რ. ძამსაშვილის „შემოკლებული ისტორია“ და მღ. იოანე გვარამაძის „ქართლის-ცხოვრება“ გრ. ყ—ძისა VII უკუღმართი ნაბიჯი ი. გოგებაშვილისა. VIII პოლიტიკის მიმოხილვა. IX ნეკროლოგი თ. გრიგოლ დიმიტრის-ძე ორბელიანი. X „ივერიის“ ფოსტა.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ფოთი. 25 მარტს. „თავის ქება თავის ტეხაო“ ნათქვამია ჩვენთ ძველებთაგან. ეს ანდაზა სწორედ რომ ნამდვილ ხატავს ფოთის სანაოსნო სკოლის მმართველს და მასწავლებელსა. აგერ არის სამი წელი არავინ ხმა არ გასცა ამ კაცს და მისს მოქმედებას და ახლა კი თვითონ ადგა და თავის ღვაწლი თვითონვე შეაქო გაზ. „კავკაზის“ ფურცლებზე, რათა იქმნეს ცნობილი ყოველგან და ყველასგან. სანამ შევუდგებოდე მის შრომის დაფასებას ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ თვით სასწავლებელზე. სასწავლებლისთვის არის დანიშნული 1600 მ. ამასვე ჰყავს კომიტეტი, რომელიც მატერიალურის მხრით ეხმარება. სასწავლებლის დანიშნულება ის არის, რომ გამოუშვას კარგი დაცდილი შკიპერები და კაპიტნების თანაშემწენი: მაშა სადამე, მიზანი სასწავლებლისა ძალიან დიდია; ამასთანავე ფოთის საზოგადოებაც მადლობის ღირსია, რომ არ იშურნებს არავითარ საშვალებას ყოველივე კეთილ საქმისთვის. მაგრამ ეს გულ-შემატკივარი ხალხი ჯერ-ჯერობით ვერ ხედავს თავის შრომის დაკმაყოფილებას, რად მოხდა ეს, რომ უწინ სასწავლებელში ოც-და-ხუთი და ოც-და-ათი ყმაწვილი სწავლობდნენ და ახლა მისი მეათედიც აღარ არის? [illegible] ეს იქა, სადაც [illegible] სწავლისთვის თავს დებს და თვალ-ცრემლიანი ყმაწვილები მშობლებითურთ ბრუნდებიან შინ სასწავლებლებში მიუღებლობის გამო, და აქ მთელ სასწავლებელში მარტო ხუთი, თუ ოთხი მოსწავლეა? რა მიზეზია, რომ სხვაგან ამნაირივე სასწავლებლები, თუ გინდ მაგალ. ბაქოში, ყმაწვილებით სავსეა და საქმეც კარგად მიდის და აქ კი სამი მარტო საცოდავად დაეხეტებიან? ნამდვილი მიზეზი ამისთანა სამწუხარო მოვლენისა არის, ჩემის აზრით, ბ. სასწავლებლის მართველის დაუდევნელობა. ვერა გზით ვერ დაითანხმეს ეს ბატონი მოსამზადებელი კლასის გახსნაზე, როგორც სხვაგან არის, სადაც მოემზადებოდენ ყმაწვილები ზედა კლასისათვის. თვითონ მაღალი კლასის მასწავლებელი, სადაც მარტო სპეციალურად ნაოსნობას გადიან, უნდა იყოს მარტო ტეორეტიკი კი არა პრაქტიკიც, რომ თვითონ ზედ მიწევნით იცოდეს ნაოსნობა და გაყვეს შაგირდებს ზღვაში მოგზაურობის დროს. ეს ესეა ყოველგან, მაგრამ ფოთი კი გამოკლებას შეადგენს. ყმაწვილები არიან სულ ოთხი თვე კლასში და დანარჩენი დრო-კი ზღვაში უნდა იმგზავრონ პრაქტიკისთვის, მაგრამ უმასწავლებლოდ—დაუცდელებმა, რა უნდა ჰქნან?

ჭ. ფუქსაძე.

თ-ხ-შურა, 2 აპრილს. 19-ს ამ მარტს გაირჩა საქმე დროებითი განყოფილებაში ბაქოს მაზრის სამჯავროისი, მოკვლაზე და გაცარცვაზე 4-ს აგვისტოს 1879 წელსა ქ. თ-ხ-შურაში მე-2 გილდიის ვაჭრისა პეტრე სავიცკისა.

ამ ჟამამდისინ ეს საქმე მცხოვრებ-

---

მისომს დარდების ჩასახერჩველად წინამხრული საშინელი ძალის ღვინო ჯამობით და მისმენია დაჟანგებული „მრავალ ჟამიერ“. რამდენჯერ მიკრამს ჯამში ნარჩომი ნუნუა გახურებულ ბუხარში, რომ შემნანებია ჩემი სტომაქი და იქ ვეებარა ალის კორიანტელი ავარდნილა. აი, ნიმუშიც უწინდელ ჩვენი მარსის შვილობისა—ეს ვეჯინის თავში ციცაბოზე აშენებული დიდებული ნანგრევები დიდებული ეკკლესია ციხისა—რომლის კედლებზე ბრანძ ლეღვებს ამოუყვიათ თავები სამზერლად წინამხრის ვაკეებისა და დიდებულ კავკასიონ ქედისა!..

განქრა ქართველებში ის ენერგია, რომლის მეოხებითაც აშენდნენ ამოტელა ციხე-გალავნები ჩვენში, თუ ის ენერგია სხვა რამეზეა მოფანტული? აი, კითხვა რომელიც ყოველთვის მოგივათ ამ გვარ ნანგრევების ნახვაზედ. მე პირადულ ფარნით არ გავანათებ ამას, რადგან დრო და ადგილი არა მაქვს—მოვიყვან ჩემთან მყოფ გლეხ-კაცის აზრს: „ვაკეთებდით უწინ ამოტელა საბეგრო საქმეებს, შენი ჭირიმე, იმიტომ, რომ მუქთი დრო ბევრი გვქონდა—ხუთი დღის კაი ანეული ეთრ ოჯახ პურად ეყოფოდა უწინ — ღვინო, იმოტელა ვენახი ვის არ ექნებოდა, რომ წლითი წლობამდინ არ ჰყოფნოდა—ხიზილალა, თევზი, მარილი ისე სახალისო მოსატანი იყო გალაღებულ ქართველისთვის, რომ შემოდგომაზე სამ გზას იზამდა ურმით—ისე, რომ ჩემ მოსწრებას მახსოვს, ხიზილალის შაჰამანდს ვაკეთებდით. ოჯახში სასყიდელი არა გვქონდა-რა—მერდინს, ხამს ჩოხას შინ დედა-კაცობა ამზადებდა ვაჟკაცს წლის სარჩო შამოდგომაზევე შინ ჰქონდა და დანარჩენ დროს რას გააკეთებდა? — ჰკმაზამდა ლაზათიან ქურან ცხენს და მიიჭრებოდა მეფესთან, თუ ბატონთან — „სადავლოთ, ან სიმაგრის საშენებლათო“! შესძახებდა ის უფროს—და შენდებოდა ამოტელა სიმაგრეები ეხლა?! აბილოთ აი, გინდ სოფელი ვეჯინი: ოთხასი კომლი კაცია და ჯერ ოთხი დუქანი აქვთ—თითო ას თუმანს ყოველთვის აიღებს—ეს შენი 400 თუმ., სახემწიფოც ამდენივე სჯდება 800 თ. ნადელის ფული ვისაც ცხრა დღის სახნავი აქვს 19 მანეთია უკანასკნელი 500 თ., ორი მღვდელი თითო 100 თუმანი—იანგარიშე მასწავლებელი 50 თუმ. ტყის ფული 100 თ. ეზოების 60 თუმანი, საბალახე 100 თ. მეველე, მამასახლისი—ჩაფრები, ბეგარა, სამართლის დაცვა, დალაქი, გზირი და ვინ იცის რამდენი წვრილმანი—სულ მცირე ორი ათასი თუმანი!! დაავიწყდა ჩემ მეგობარს ჩუმა ხარჯი.—ესეც რომ ჩაეგდო გაიგებდა, რომ სულ მცირედი გლეხს კომლზე ათი თუმანი აწევს კისერზე და შემოსავალი რა აქვს?—ვეჯინში მაგალითად, ღვინოს იშვიათი გლეხი ჰყიდის პურს აგრეთვე. რითი იხდის ამ ხარჯს?.. ამიტომ არ მიკვირს ეს დაღრომილი სახე ჩვენი გლეხისა—ეს საშინელი ქოხი ჩვენი წინამხრელი გლეხისა, საშინელ კონტრასტათ მიკრული მშვენიერ ბუნებაზე... ნახეთ, აი, გინდ, ეს მშვენიერი სოფელი კარდენახი, ბუდე საშინელ გლეხთა სილატაკისა, რადგან წლითი წლით სარჩომი აქაურ გლეხისა საშინელ ქოხში მომხვრსვალის არის მწვანილეულობას ბალი, რაშიაც ცალ-ფულს აძლევს სიღნაღელი პოლოზა! მინახავს სურათი ჩვენის ქალბატონებისა: დღეობაში მოდის — ექვსი ხელი კაბა უეჭველად თან ახლავს ერთს მისვლისას იკაზმავს, ამაზონკის გახდის უმალ, ერთს—დუდუკზე სათამაშოთ, ერთს —სადილზე, ერთს — სადილთ უკან და სხვა. როდესაც მისი ბრწყინვალე მეუღლე კი ტალახში მოსვრილი ქუსლებ დაცვეთილ წაღებით ევლება გარს დუდუკზე ვისმე კნეინასთან-თუ კნიაჟნასთან!...... რას ფიქრობს იგი როცა, გინდათ, მშვენიერ წინამხრის გზატკეცილზე მდიმაშვილების და რევაზების მზვრებ შუა გალიპული სომეხი ამაყათ მააიორლებს ლურჯას—სომეხი მარსის შვილი სიდამპლეზე ამოსული, მურდალ სოკოსევებ!!.. ჰმ, რას ფიქრობს მეთქი? განა აქ ამ ეკონომიურ ხალაბალის შვილთ ფიქრი შაუძლიანთ რამეზე?..

შაქრო....

თაგან დაიწყებული იყო და ახლა განახლდა ყოველთა სახსოვარში ეს შინელი და საზარელი ავაზაკობა, ქმნილი მიდრეკილს მოხუცებულზე მთა სპარსთაგან, განსვენებულის მოსამსახურის—რუსის შემწეობით პეტრე სავიცკი, თითქმის 80 წლისა იყო, სახლობის პატრონი, რომელსაც შეჰყავნდა ცოლი და ერთი ქალი, ჰქონდა საკუთარი სახლი და შიგ გამართული მიკიტნის დუქანი; სცხოვრობდა მშვიდობიანად და წყნარად.

უნდა ვსთქვათ, რომ იმ წელიწადს ქალაქში ერთიერთმანეთზედ მოხდა ამ გვარი ავაზაკობანი და როგორაც პოლიციას ვერ მოუხდა მალე გნობა დამნაშავეთა კვალისა, და ისინი გამხნევებულნი, რომ იმათი საქმენი გაივლის ხოლმე დაუსჯელად, დაიწყეს გაბედვით მოქმედება თავიანთ ავაზაკობისა და თუ რომ ეხლაც არ მეტანებინათ კვალისათვის, მაშინ, როგორათაც ამბობენ, განზრახვა თურმე ჰქონდათ მოეხდინათ რამდენიმე ამ გვარი ავაზაკობანი.

დროებით მცხოვრები ქ. თ-ხ-შურაში, შემახიელი ღაიდარ-ჰაჯი-ადილ-ეზალ-ოღლიმ ვაჭრის სავიცკის მოსამსახურე, მარტინ ლეონტოვისაგან შეიტყო, რომ იმის ბატონს აქვს ბევრი ფული და ძვირფასი ნივთები, გაიხადა ეს თავის მეშველეთა, იპოვა ამხანაგები ქ. დერბენდის მცხოვრები ყაია-ყული-ჯაფარ-ოღლი და სპარსეთის ყმა ჰუსეინ-ალი-აბბას-ოღლი, მოისაზრა, როგორ დაეწყო თავისი ავაზაკური მოქმედება და ღამით 4-ს აგვისტოს 1879 წ. მოიყვანეს ასრულებაში ეს განზრახვა.

3-ს აგვისტოს, ღამის 11 საათზე, სავიცკიმ თავის სახლობით მოემზადა დასაძინებლად: მოხუცი დაწვა თავის ოთახში ყუთიან დივანზე, ცოლი და ქალი გვერდით ოთახში. სავიცკის ცოლმა, ოლგამ, მინამ დაიძინებდა, თავის მოსამსახურეს მისცა ვახშამი, მსახურიც წავიდა დასაძინებლად თავის ოთახში სამიკიტნო დუქნის გვერდით. შემდეგ რამდენიმე ჟამისა, სავიცკის ცოლს შემოესმა, ვითომც ვიღაცა ეზოდან აწვება მის ოთახის კარებსა, რომელიც იყო შიგნიდან ჩანგლით დაკეტილი. თუმცა შეშინდა, მაგრამ ყური არ ათხოვა და დაიძინა. უცბად ძილში შემოესმა ამას ხმა— „ოხ!“ თითქოს მსგავსი თავისი ქმრის ხმისა, და მაშინათვე გამოეღვიძა. ამ დროს მოდიოდა დიდი წვიმა. შემდეგ ამისა, ამ ქალმა შენიშნა, რომ ვიღაცა გარედან ჰკეტავს ამის ოთახის კარსა, შეშინებულმა იწყო ყვირილი „კარაულ“ და დაეცა გულ-წასული კარებთან; გასვლა ეზოში ვერ გაბედა, რადგანაც ძლიერ ბნელოდა გარეთ. როგორც იწყო თუ არა გათენება, სავიცკისამ გაამტვრია გარედან დაკეტილი კარი, შევარდა თავის ქმრის კარლია ოთახში, თვითონ ის ვერ იპოვა, ხოლოდ ნახა ლოგინი, ტანისამოსი და სხვა ნივთეულობა პოლზე მიყრილ-მოყრილი და დივნის ყუთი ახდილი. აქედან გაიქცა, ყვირილით „ყარაულ, დაგვკლეს“, წინდაწინ მოსამსახურესთან და როდესაც ეს არ გამოუშველა და მარტო თავის ოთახიდან გამოსძახა: „მრთელი ღამე არ ეძინა, ყვირის დაგვკლესო“, მაშინ მივართა თავის მდგმურს, რომელმაც მაშინათვე პოლიციას შეატყობინა ეს ამბავი. შემდეგ ამისა სავიცკი იპოვეს პოლზე ლოგინსა და სხვა ნივთებს ქვეშ, რომელიც დაეყარათ იმაზე ავაზაკთა, ორ ადგილას თავ-გატეხილი. მაშინათვე ექვი შეიტანეს ლეონტიევზე, თუმცა არ გატყდა და მოიგიჟიანა თავი, მაგრამ ვერა გააწყო-რა, ტუსაღხანაში ჩასვეს და ექიმებმა დაამტკიცეს, რომ ძალად იგიჟებდა თავსა. ამისი ამხანაგებიც მალე იპოვეს, რომელთათვის ლეონტიევს გაეღო ალაყაფის კარები. ხმაურობაზე სავიცკის თავის ოთახის კარი გაეღო. მაშინ ეკრათ თოფი შუბლში და როდესაც წაქცეულიყო, მეორეც დაეყოლებინათ და მიეყოთ ხელი ცარცვაზე.

გამოძიების დროს, დერბენდის მცხოვრებმა ყაია-ყული-ჯაფარ-ოღლიმ გასცა, როგორათაც ლეონტიევი, აგრეთვე შემახიელი ღაიდარა-ჰაჯი-ადილეზალ-ოღლი და სპარსეთის ყმა ჰუსეინ-ალი-აბბას-ოღლი, და თვითონაც ყაია-ყული აღმოჩნდა ამათ ამხანაგად. ამათგანი, ღაიდარა კიდევაც ამის მსგავს საქმეზე ქ. თ-ხ-შურაში იყო გაგზავნილი 1881 წ. კატორღაში 15 წლით და ეხლა ამ საქმისათვის უკანვე მოიყვანეს.

ამ დღეს სამჯავროს ზალაში მრავალი ხალხი შეიკრიბა, ასე რომ დასაჯდომი ადგილი აღარ იყო და ბევრს მოუხდა ფეხზე დგომა, ზოგიერთმა სრულებითაც ვერ შეატანა იქ და კარში დარჩნენ. მეტადრე ბევრნი სცდილობდენ დაენახათ განთქმულ ავაზაკი ზაიდარა. დღის 12 საათზე, ბალკონზე მოირბინეს და დაიძახეს: „მოჰყავთ, მოჰყავთ!“—მართლაც, რამდონსამე ხანს შემდეგ მოიყვანეს ბორკილ შეყრილები ოთხი ავაზაკი სამჯავროს პირველ ოთახში; ამათში ძლიერ ერჩეოდა ზაიდარა თავისი ტანით და მორთულობით. ეს არის 30 წლისა, ტანწვრილი და მაღალი, შავგვრემანი, შავის ულვაშებით, შავთვალა. თავისუფლად ეჭირა თავი და ყველას უყურებდა მოცინარის ღიმილით. ფეხებზე ჰქონდა შეყრილი რკინის ბრჭყინვალე სუბუქი ბორკილი, თითქო არა თუ როგორც ავაზაკსა, არამედ როგორადაც კოხტურად მორთულსა. როდესაც ზაიდარას ჰკითხეს, ქომაგი გყავს თუ არაო, მან მიუგო, რად მინდა ქომაგი, მე თვითონ ვარ ჩემ თავის ქომაგიო, ჩემზე კარგად მე არავინ მიქომაგებსო. როცა მოწმებზე უჩვენეს, აი რას ანბობენო შენს საქმეზეო; მიუგო; თითო შაურად რამდონსაც გინდათ მოწამეს გიშოვითო. ღამის 2 საათზე გათავდა საქმის გარჩევა, ბოლოს ჰკითხეს ზაიდარას, უკანასკნელი სიტყვა შენი არისო, რას იტყვიო შენს გასამართებლადაო; მან მიუგო: მე არას ვიტყვიო, ხოლოდ ამასა გთხოვთო, საუკუნოდ გამგზავნეთ კატორღაშიო. თავმჯდომარემ ჰკითხა, რათაო, რომ მაგრეზია, ამისთანა სურვილისო; მე იქ ვიყავი ამის წინად, მიუგო ზაიდარამ, და იმ ტომ ვიციო, საუკუნედ როდესაც გზავნიან კატორღაში, სამს წელიწადს შედეგ ჩასწერენ ხოლმეო იმათში, რომელნიც ციმბირში დასასახლებელნი არიანო; დროებით გაგზავნილმა-კი უნდა სრულად იმუშავოს დანიშნულ წლამდისინ.

სამჯავრომ დაადგინა განჩინება: გაიგზავნონ კატორღას მაღნებში სამუშაოდ: ზაიდარა ჰაჯი-ადილეზან-ოღლი 20 წლით, მარტინ ლეონტიევი 12 წლით, ყაია-ყული-ჯაფარ-ოღლი და ჰუსეინ-ალი-აბბას-ოღლი 10 წლით.

ანბობენ ზაიდარას საქმე მოსკოვის სამჯავროშიაც უნდა გაირჩეს კიდეო. 1881 წ., როდესაც იგი გაგზავნეს ციმბირს კაცის კვლისთვის და გაცარცვისთვის შურაში, მივიდენ თუ არა მოსკოვს, თავის ამხანაგს, მთის ურია სახელად შმულსა ყელი გამოსჭრა და ამითი ამოიყარა ამისი ჯავრი მასზედა, რომ ეს ზაიდარა იმ საქმეში ჩაიტანა.

მარტის 23-ს წარდგა ამავე სამჯავროში ახალგაზრდა 26-ს წლის კაცი, ჩამამავლობით პატივცემულ მოქალაქე ა—ლი, რომლისაც დამნაშაობა იყო მოპარვა ფულისა და ძვირფასი ნივთებისა. სამჯავრომ გადუწყვიტა ოთხის თვით ტუსაღხანაში ჩაჯდომა. ა—ს მოსთხოვეს თავდები, მაგრამ თავისიანებისაგან, რუსებისაგან არავინ არ დაუდგა, მაშინ წარდგა ერთი ქართველი მიკიტანი და ამან იტვირთა თავდებობა.

ანბობენ, ა—ს ორი საქმე კიდევ გაირჩევაო ქ. პეტროვსკს, სადაც განყოფილება ბაქოს მაზრის სამჯავროსა 29-ს წავიდა, სხვა-და-სხვა სჯული—კანონის წინაალმდეგი საქმეებისათვის, რომლისათვისაც უფრო სასტიკად უნდა დაისაჯოს ეს კაცი.

გ. ბ.

## კერძო საავადმყოფო

კუკიაში, ხემიონოვის ქუჩა, ახვერდოვის სახლი.

ავადმყოფებს მუდამ დღე მიიღებენ.

დილით: 9 ს საათიდამ $10^{1}/_{2}$-მდინ ნავასარტიანცი—ხირურგიულ და ვენერიულ ავადმყოფისა და რუდკოვსკი—ქალის, ყმაწვილის და შინაგან ავადმყოფ.; $10^{1}/_{2}$ საათიდამ 12 საათ. შახ-აზიზ—შინაგან ავადმყოფობისათვის. 12 საათიდამ 1 საათ. თვალის ავადმყოფ. ლარიონოვი მუდამ დღე კვირასა და ოთხშაბათს გარდა, და რეიხი ოთხშ. და კვირას.

საღამოს: 5 საათიდამ 7-მდინ უშაკოვი—ყმაწვილების და ყელის ავადმყოფობ. სამშაბათობით, ხუთშაბ. და შაბათობით. ნერვების, ფსიხიურ ავადმყოფ. და ელექტრო-ტერაპიისა—არუთინოვი მუდამ დღე და კონსულტანტად ბაბაევი სამშაბათობით და შაბათობით. საზოგადო კონსულტაცია ექიმებისა სამშ. - შაბათობით საღამოს 7 საათ. 8-მდინ. მუდამი კრავატებზე...

ფასი რჩევისათვის—50 კაპ. ...

სულტაციისა—3 მან. ღარიბებს უფასოდ.

საავადმყოფოს დირექტორი

ექ. ნოვოსარტიანცი.

(თვით საავადმყოფოში დგას).

საავადმყოფოში ამ მოკლე ხანში გაიხსნება წყლით საექიმო განყოფილება ექ. ტელიაფუსის ხელმძღვანელობით.

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

ო რ შ ა ბ ა თ ს. გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი მარლვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს. მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—მარლვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს. ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლვების სისუსტ. ავათმყოფობისა.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლვების ავათმყოფობისა.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს. მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლვების სისუსტის ავათმყოფობისა.

შ ა ბ ა თ ს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლ. სისუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

ქართული დრამატიული საზოგადოების მართველობა ამით აცხადებს რომ, შედგენა დრამატიულის დასისა და გამგეობა ტფილისში ქართულის თეატრის საქმისა მიიღო თვითონ მართველობამ, და ამისათვის მოიწვევს მათ, ვისაც ჰსურს შემოსვლა ქართულს თეატრის დასში, თავისის პირობებით მიჰმართონ ტფილისს, ან მმართველობის მიერ მინდობილ პირს, თავ.

**ილია გრიგოლის-ძეს ჭავჭავაძეს, ან მართველობის სეკრეტარს კონსტანტინე დიმიტრის-ძეს ყიფიანს.**

საზოგადოების მართველობის თავსმჯდომარე თ. დავ. ავალიშვილი.

მართველობის სეკრეტარი. კ. ყიფიანი.

---

საავადმყოფო

ექიმის პავლოვსკისა

კუკია, მოსკოვაიას და ელისავეტის ქქ. კუთხეში, ადრინდელი სახლები სლინკოსი, გარანცოვის მეგლის მახლობ. მუდამ დღე იღებს ავად-მყოფებს: დილით 9—10 საათ.: მ. გ. ლუნკევიჩი თვალის, ვენერიულ და ხირურგიულ ავად-მყ., 10—11½-დის ქალი-ექიმი ა. გ. სამოილოვიჩისა ქალის და ყმაწვილის ავად-მყ., 11½—12½ საათამდის ა. ა. პავლოვსკი, ნერვულ და შინაგან ავად-მყ; სადამოს: 4—5 საათამდის ე. ს. ბაბოვი შინაგან ავად-მყ., 5—6-დის ა. ა. პავლოვსკი ელექტრო-ტერაპიიდამ. ფასი რჩევისათვის 50 კ. ღარიბთ მუქთად ემლევათ რჩევანი. ავად-მყოფის სურვილით შესდგება კონსულტაცია. საავად-მყოფოში არის კეფირი.

დირექტორი, ექიმი ა. პავლოვსკი.

(20—14)

---

რადგან მივდივართ,

ისყიდება 5 ნაწილი ადგილისა წყლის ნაპირას ახალი ხიდის მახლობ; პირობის შეტყობა შეიძლება ინგლისის მაღაზიაში.

ამავე მიზეზით ისყიდება ნახევარ ფასად: ტანთ-საცმელი, ტრიკო, შალის ჩულქები და სხ. და სხვ.

იქვე აუარებელი რკინის კალმები, რკინის ტახტები, ჩაი 1 მოსავლისა, კაცისა და ქალის უნაგირები, საპონი და სხვ და სხვა—25% ნაკლებ სანამ სხვაგან. გლიცერინის საპონი 40 კ. გირვანქა!

ინდოეთის ბრინჯი 5 კ.

---

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება.

**საქართველოს სამოთხე**

გამოცემული მიხეილ საბინიმის-მიერ.

ფასი ყველგან ჩვიდმეტი მანეთი. გარეშე პირთ შეუძლიანთ მიმართონ ზ. ზაქარია ჭიჭინაძეს, აღნიშნულის ფასით.

---

ახალი ქართული

# კარაბადინი

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; **ქუთაისში:** მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყდიანის ერთი მანეთი.

---

გალავინის პროსპექტედ, ანტონოვის სახლებში „ლივადიის“ სასტუმროში, ვაძლევ მებილით, სამოვრით და მოსამსახურით ოთახებს, თვეობით 15 მანეთიდამ 60-დის, დღეობით—ოთხი აბაზიდამ—სამ მანეთამდის.

მიხაილ ხარებავა.

10—8)

---

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

**მწყემსის სტვირი**

**ლექსები, სიმღერები და ზღაპრები**

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის

სკოლაში და შინ საკითხავად

ადაიანცისა

გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.

ფასი ერთი აბაზი

---

ინგლისის

# მაღაზია

*Maison de confiance*

| | |
|---|---|
| მუადარვთ ჩვენი ჩაი—1 მ. 10 კ. | მოსკოვის ჩაის—1 მ. 40 |
| — — —1—20 | — —1—60 |
| — — —1—40 | — —1—80 |
| — — —1—60 | — —2— „ |
| — — —1—80 | — —2—50 |
| საუკეთესო—2— „ | — —3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 50 პროცენტით უფრო იაფადვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ხდის.

(100—57)

---

**წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემანი:**

**იგავ-არაკნი**, გალექსილნი თ. რ. ერისთავისაგან, სურათებითი გამოცემა მეორე, ფასი ექვსი შაური.

**წითელი ფარანი**, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ზ. ანდრონიკაშვილისა, ფასი სამი შაური.

**ხატაური**, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ანასტასია თუმანიშვილისა, ფასი ორი შაური.

ეს წიგნები ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში და წიგნების მაღაზიებში. ვინც ნაღდს ფულზედ ერთბაშად იყიდის 15 ეგზემპლიარს რომელსამე წიგნისასა, დაეთმობა 20% ანუ მანეთზედ ერთი აბაზი და მიეცემა: იგავ-არაკი წიგნი 24 კაპ., წითელი ფარანი 12 კაპ. და ხატაური 8 კ.

(10—10)

---

ა ნ გ ა რ ი შ ი

**ხვანჭკარის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა 1882 წლისა.**

1 იანვარს 1882 წელს იყო:

| შემოსავალი: | მან. კაპ. | გასავალი: | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილადი ფული . . . | 9,236—61 | გასესხებული . . . | 10,654— „ |
| სასარგებლოდ შემოტანილი . . . . . | 284— „ | ნაღდი ფული. . . . | 240—75 |
| სათადარიგო თანხა . . | 381—91 | | |
| წმინდა მოგება . . . | 992—23 | | |
| ჯამი | . 10,894—75 | ჯამი | . 10,894—75 |

1882 წელსა.

| შემოსავალი: | მან. კაპ. | გასავალი: | მან. კაპ |
|---|---|---|---|
| წილადი ფული . . . | 540—84 | წილადი ფული . . . . | 2,955—81 |
| სარგებელი დაჭერილი გასესხების ანუ ვადის მიცემის დროს . . | 1,352— 5 | მოგება 1881 წლის წილადს ფულზე მიცემული . . . . . | 674—41 |
| ჯარიმა . . . . . | 294—86 | გასესხებული . . . . | 14,153— „ |
| დაბრუნებული სესხი | . 16,061—36 | სარგებელი დაბრუნებული ვადაზე წინ გარდახდილ სესხის . . | 25—73 |
| სათადარიგო თანხა . . | 99— „ | სასარგებლოდ შემოტანილი . . . . . | 44— „ |
| | | სარგებელი სასარგებლ. შემოტანილისა . . | 21—60 |
| | | სამართველოს ხარჯი . | 40— „ |
| | | სხვა-და-სხვა გასავალი . | 49—89 |
| | | ალებ-მიცემობის გასავალი . . . . . . . | 234— „ |
| ჯამი | . 18,348—11 | ჯამი | . 18,198—44 |

1 იანვარს 1883 წელს არის:

| | მან. კაპ. | | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილადი ფული . . . | 6,821—64 | გასესხებული . . . | 8,645—64 |
| სასარგებლოდ შემოტანილი . . . . . | 240— „ | ნაღდი ფული . . . | 390—42 |
| სათადარიგო თანხა . . | 480—91 | | |
| წმინდა მოგება . . . | 1,593—51 | | |
| ჯამი | . 9,136— 6 | ჯამი | . 9,136— 6 |

ნამდვილისა თანასწორ არს გამგებელი თ. კ. ყიფიანი.

---

დაიბეჭდა და გამოვიდა ცალკე

[illegible]

# „ციკო“

მოთხრობა

**ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)**

ფასი ადგილზედ 30 კ. გაგზავნით 40

ისყიდება ტფილისში „დროების“ რადაქციაში და შავერდოვის პავილიონში ალექსანდროვის ბაღთან. წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივი დათმობა, მოსწავლე ყმაწვილებისათვის, ვინც პირ-და-პირ „დროების“ რედაქციიდგან წაიღებს, ადგილზედ 20 კაპეიკად თითო წიგნი, გაგზავნით 30 კაპ.

(20—20)

---

ინგლისური რკინის კრავოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტეები, ხაფანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა.

(100—46)

---

გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება: ქართველი კლასიკები

№ 1

**ჩახრუხაძე**

შემოკლებულის ბიოგრაფიით.

გამოცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 20 კაპ.

---

ტაქსია

**საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 აპრილიდამ 1 მაისამდის.**

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | $5\frac{1}{2}$ |
| მეორის „ | —1 გირ. | $3\frac{1}{2}$ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | $5\frac{1}{2}$ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | $5\frac{1}{2}$ |
| მეორის „ „ | —1 გირ. | $4\frac{1}{2}$ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 17 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გირ. | 11 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | — |

---

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Апрѣля 1883 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.